ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 18 თებერვლის

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

   მომხს: მანანა ბარბაქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივი კომისიების 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

   მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 18 თებერვლის სხდომის

ო ქ მ ი №5

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

18 თებერვალი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

დავით კიკნაძე -განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

ვარლამ ჭიპაშვილი- „ საფინანსო-საბიუჯეტო“ კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე,

თორნიკე ავალიშვილი - ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ -ს თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარე

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქ. ზუმბაძე - ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს აპარატი:

ლ.კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის იურისტი

ნ. თხელიძე -საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში უფროსი სპეციალისტი

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

ვლადიმერ გელაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ლ.ბუბულაშვილი - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ჟურნალისტი,

მ. შათირიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

მ. ბაბლიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში.

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივი კომისიების 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში**

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა კითხვით მიმართა მომხსენებელს განემარტა მიზეზი თუ რატომ ვერ იქნა ათვისებული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გამოყოფილი თანხა.

ვ. გელაშვილმა განმარტა, რომ ძირითადი მიზეზი მე რაც ვიცი იყო ტენდერების ჩავარდნა და არაკეთილსინდისიერი მეწარმეები.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ ანგარიშის განხილვა არ უნდა ვიჩქაროთ, უმჯობესი იქნებოდა შესრულებულიყო ოპოზიციური ფრაქციების მოთხოვნა დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევასთან დაკავშირებით და დავეყრდნობოდით მათ დასკვნებს.ასევე მან დააყენა საკითხი სატენდერო კომისიის საქმიანობისა და მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობის კომისიის დონეზე შესწავლის შესახებ..

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 04 მარტის სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით და დაავალა კომისიებს საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვა.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს 2019 წლის 04 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მ. ფხალაძის ინფორმაცია საკითხზე კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმის შესახებ (თან ერთვის)

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ვ. ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე კომისიის2019 წლის სამუშაო გეგმის შესახებ (თან ერთვის)

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანასვილის ინფორმაცია საკითხზე კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმის შესახებ (თან ერთვის).

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გ. თხელიძის ინფორმაცია საკითხზე კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმის შესახებ (თან ერთვის).

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარის დ. კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმის შესახებ (თან ერთვის).

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების 2019 წლის სამუშაო გეგმები (თან ერთვის).

2. დაევალოს საკრებულოს აპარატი უფროსს ლ.კალანდაძეს გამოცეს საკრებულოს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანება.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 მარტის სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე